

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11**

ქ.თბილისი

18.07.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;

ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მანანა მელიქიშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ვახტანგ ნადარეიშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

თამარ დოლბაია - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

რევაზ ჯორბენაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დათო თარხნიშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;

ელენე ჟურავლიოვა - საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნანა დიხამინჯია - პროგრამის ხელმძღვანელი.

3. შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლელა თვარაძე - იურისტი.

4. შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

კახა შენგელია - პრეზიდენტი;

ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე - პრეზიდენტი სასწავლო დარგში;

შოთა ნიჟარაძე - ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;

ეკატერინე აზარაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ბორის ლეჟავა - ბიზნესის სკოლის დეკანი;

გურამ ლეჟავა - პროგრამის ხელმძღვანელი (ელექტრონიკისა და კომპიუტერული

ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა);

ლალი ყიფშიძე - პროგრამის ხელმძღვანელი (აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა).

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

- არჩილ აბაშიძე;
- მაია გონაშვილი;
- თინათინ ჭინჭარაული;
- ირმა გრძელიძე;
- ეკატერინე ბაკარაძე;
- ნანი არაბული;
- ვასილ კიკუტაძე;
- ნინო ხარხელაური.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:10 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის განხილვა გადმოტანილი ყოფილიყო პირველ საკითხად, ვინაიდან საბჭოს სამ წევრს ჰქონდა აცილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხების მიმართ, ხოლო საბჭოს ერთ-ერთ წევრს აგვიანდებოდა, რის საფუძველზეც ვერ მოხერხდებოდა კვორუმის შეკრება.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს დანარჩენმა წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და წარმოდგენილი სახით **დამტკიცეს დღის ახალი წესრიგი:**

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნანი არაბულმა.

- აუცილებელი იყო ისეთ დარგობრივ ძირითად სასწავლო კურსში, როგორიც იყო „კომპიუტერული და მონაცემთა ქსელები“ გაზრდილიყო საკონტაქტო საათების რაოდენობა;

- აუცილებელი იყო, რომ შეფასების მეთოდები არ ყოფილიყო უნიფიცირებული და შესაბამისობაში ყოფილიყო საგნის სპეციფიკასთან;

- სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გასწორებულიყო უზუსტობანი თანდართულ კომპეტენციების რუქასა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაში ჩართული აკადემიურ პერსონალის რაოდენობითა და კვალიფიკაციით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ჯამში ახორციელებდა რვა აფილირებული პროფესორი მოწვეული პერსონალის გარდა, რომლებიც უშუალოდ დარგობრივ საგნებს ასწავლიდნენ.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტის ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებდა საკონტაქტო საათების გაზრდას, მას აინტერესებდა, როგორ აპირებდა დაწესებულება აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამის დასახვეწად, საათები გაზრდილი იქნა არა მხოლოდ ექსპერტის მიერ მითითებულ საგნებში, არამედ მთლიანად ყველა საგანში 30 პროცენტით. ცვლილებები განხილული და დამტკიცებული იქნა აკადემიურ საბჭოზე.

აღნიშნული პროგრამა გახლდათ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი, შესაბამისად ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ყველა რესურსი, კერძოდ ლაბორატორია და კომპიუტერული კლასი, და სხვა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროგრამა ხორციელდებოდა სან დიეგოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით. პროგრამაში ასევე ჩართულები იყვნენ კვლევითი ინსტიტუტები, მათ შორის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ლაბორატორიაც, სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებოდათ გაეცნოთ სტაჟირება.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა აღნიშნული პროგრამა გახლდათ ძირითადი პროგრამის ნაწილი თუ დამოუკიდებლად არსებული პროგრამა. მას ასევე აინტერესებდა იყვნენ თუ არა ფიზიკოსები ის აფილირებული პროფესორები, რომლებიც კითხულობდნენ ძირითად საგნებს. მან ასევე ხაზი გაუსვა საათების განაწილების მნიშვნელოვნებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ დამოუკიდებელი, ხოლო აფილირებული პროფესორების უმეტესობა სპეციალობით იყო ფიზიკოსი. რაც შეეხებოდა კომპიუტერულ ინჟინერიას, მისი სწავლება იწყებოდა მესამე სემესტრიდან. მათ ჰქონდათ სინთეზი არჩევით საგნებს და ძირითად საგნებს შორის, რომელიც ითვალისწინებდა ასევე პროგრამირების და კომპიუტერული ინჟინერიის ძირითად საგნებს. აღნიშნული საგნების განხორციელებისათვის დაწესებულებამ აიყვანა რამდენიმე პროფესორი. მათ შორის გახლდნენ ნანი დიხამინჯია, ხათუნა ჩარგაზია და გიორგი ფარცხალაძე, რომლებიც კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით წაიკითხავდნენ ლექციებს.

ექსპერტმა განმარტა რომ შენიშვნა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით ეხებოდა მხოლოდ პროგრამირების ნაწილს, სადაც საგანთა უმრავლესობას კითხულობდა მხოლოდ ერთი პროფესორი.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა მიმართა ექსპერტს დაეკონკრეტებინა რომელ საგნებში ითხოვდა საათების დამატებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ქსელების საფუძვლებს და მონაცემთა ბაზებს, სადაც იყო დიდი მასალა და ორ საათში შეუძლებელი იყო მასთან გამკლავება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგიერთი პროფესორი საკმარისად მიიჩნევდა ორ საათს აღნიშნული მასალის დასაძლევად.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, შეუძლებელი იყო ორ საათში საგნის სწავლება ბაკალავრიატის დონეზე, მით უფრო, რომ აღნიშნულ საგნებს პრაქტიკული კომპონენტიც ქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადაც საჭიროდ მიიჩნიეს საათების გაზრდა გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე დასძინა, რომ საათების გაზრდა არ იყო ეფექტურობის გაზრდის პირდაპირპროპორციული. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საათების კორექტირება ყოველთვის შესაძლებელი იყო სწავლების პროცესში, თუკი შეიმჩნეოდა ამისი აუცილებლობა. ამ უკანასკნელის დადგენა კი ეფექტურობის და ხარისხის მონიტორინგს მეშვეობით მოხდებოდა, რომელსაც მუდმივად ახორციელებდა უნივერსიტეტი.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის მისაღები იყო არგუმენტები, თუმცა წარმოუდგენელი იყო ფიზიკის საგნების სწავლება ორი საათის ფარგლებში, ვინაიდან ამოცანების და დავალებების შესრულებას სჭირდებოდა მეტი დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სალექციო კურსებთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ლაბორატორიული სამუშაოები. მას აინტერესებდა როგორი იყო ლაბორატორიული ბაზა და საათების გადანაწილება აღნიშნული კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ის საგანი, რომელსაც ჰქონდა ლაბორატორიული მუშაობა, მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი აღნიშნული რესურსით. ცალკე იყო ელექტრონული წრედებისათვის და დიზაინის პროექტირებისათვის

გათვალისწინებული ლაბორატორია, სადაც ხორციელდებოდა სტაჟირების კომპონენტი ერთი სემესტრის მანძილზე. ამ საგანს საათების მაქსიმალური რაოდენობა ჰქონდა დათმობილი. ელექტრონული წრედების ლაბორატორიული ნაწილის განხორციელება ხდებოდა ფაბლაში, რომელიც ასევე გახლდათ ილიას უნივერსიტეტის ნაწილი. გარდა ამისა, სან დიეგოს უნივერსიტეტი აშენებდა ცალკე ლაბორატორიას ილიას უნივერსიტეტისათვის.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ლაბორატორიული მუშაობის დროს მნიშვნელოვანი იყო სტუდენტს ჰქონოდა ინდივიდუალური მუშაობის საშუალება. მას აინტერესებდა როგორ ხდებოდა აღნიშნულის უზრუნველყოფა, კერძოდ, იყო თუ არა საკმარისი რესურსი ყველა სტუდენტისათვის, თუ ხდებოდა როტაცია.

აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა ექსპერტმა, რომლის განცხადებითაც, ვინაიდან საუბარი იყო ინჟინერიაზე, მთავარი აქცენტი პროგრამის შეფასებისას გადატანილი იყო ლაბორატორიაზე. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამაზე არ იგეგმებოდა ბევრი სტუდენტის მიღება, რესურსი გახლდათ საკმარისი. რაც შეეხებოდა პროგრამირების პრაქტიკულ სამუშაოს, აღნიშნული სტუდენტს შეეძლო სახლშიც შეესრულებინა.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის წარმოდგენილი იყო სტუდენტს კალკულუსი მოემზადებინა სახლის პირობებში, ასევე ორ საათში ესწავლა პროგრამირების საგნები განსაკუთრებით 1-5 სემესტრებში. აღნიშნული შეუძლებელი იყო იმ შემთხვევაშიც, თუკი პროგრამაზე მიიღებდნენ მხოლოდ მათემატიკოსებს და გენიოსებს. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს მიანიჭებდა ისეთ ხარისხს, სადაც კონკრეტული ცოდნა იყო საჭირო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა მნიშვნელოვანი საგანი და მათ შორის კალკულუსიც მოიცავდა სამ საათს და არა ორს. პროგრამის განხორციელებაში იგეგმებოდა მისურის უნივერსიტეტის ჩართულობა. ურთიერთობა განხორციელდებოდა სეზონური სკოლის სახით, შემუშავდებოდა ონლაინ სტაჟირება. კერძოდ, მისურის უნივერსიტეტი მიაწოდებდა მათ პროექტებს და მესამე მეოთხე სემესტრიდან შესაძლებელი იყო სტუდენტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა სტაჟირებაზე ყოფილიყვნენ მიწვევულები მისურის უნივერსიტეტში ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.

17:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (მირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: ნათელა სახოკიამ და ნანა შათაშვილმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ სასწავლო წლის დაწყების შემდგომ, მონიტორინგის გზით გადაემოწმებინა აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მისი წინააღმდეგობა არ იყო მიმართული კონკრეტული პროგრამის ან უნივერსიტეტის მიმართ. მსგავსი პრობლემა ჰქონდა ყველა უნივერსიტეტს. პროგრამა გამიზნული უნდა ყოფილიყო საშუალო დონის სტუდენტისათვის და არა გენიოსისათვის. შესაბამისად, საათების განაწილება უნდა ყოფილიყო ოპტიმალური სტუდენტის შესაძლებლობიდან გამომდინარე. მან ასევე მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ მხოლოდ კანონის ენით არ ესაუბრათ დარგის სპეციალისტებთან, რომელთაც გული შესტკიოდათ დარგის განვითარებაზე. მისი მოსაზრებით, სტუდენტს 16-ის ნაცვლად დარგის სპეციალიზაციაში უნდა აეღო 30 კრედიტი იმისათვის, რომ მას ჰქონოდა სრულყოფილი ცოდნა.



2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	იურიდიული ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხთან მიმართებით თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ნანა შათაშვილმა, ლევან გორდეზიანმა და რამაზ ჭილაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თინათინ ჭინჭარაულმა.

- მოცემული სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავდა ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას იურიდიულ ფსიქოლოგიაში ვიწრო სპეციალიზაციით. სალექციო კურსები და შესაბამისად, სწავლის შედეგებიც იურიდიულ ფსიქოლოგიაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებაზეა ორიენტირებული. გასათვალისწინებელი იყო, რომ იურიდიულ ფსიქოლოგიაში სპეციალიზაციის მქონე პროფესიონალზე თანამედროვე საქართველოში იყო დიდი მოთხოვნა, რაც მოცემული პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა. სასურველი იყო, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ფსიქოლოგიის ქვედარგად მომხდარიყო იურიდიული ფსიქოლოგიის დამატება;

- სასურველი იყო მომზადებულიყო სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია რაც მაგისტრანტისათვის და ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისათვის ნათელს გახდიდა თუ რა ტიპის კვლევა და შესაბამისად ანალიზი იქნებოდა მისაღები უმაღლესი განათლების მოცემულ საფეხურზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად პროგრამის მიზნებიდან და სასწავლო შედეგებიდან გამომდინარე;

- სასურველი იყო, რომ სალექციო კურსების სილაბუსში დაკონკრეტებულიყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება) განვითარებაზე ორიენტირებული

სწავლების მეთოდები და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. მნიშვნელოვანი იყო სამაგისტრო პროგრამის გაძლიერება მომხდარიყო პრაქტიკის კომპონენტით, რაც დადასტურდებოდა პრაქტიკის სილაბუსით და პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

- სასურველი იყო, რომ სალექციო კურსებში მომხდარიყო ისეთი შეფასების კომპონენტის დაზუსტება, როგორიც იყო სამუშაო ჯგუფში აქტივობა, რათა აღნიშნული კრიტერიუმი სტუდენტებისათვის უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო და ლექტორის მხრიდან ყოფილიყო ნაკლები განმარტებების აუცილებლობა;

- სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველი იყო პროგრამაში სამართლის კომპონენტის გაძლიერება ინტერდისციპლინური სალექციო კურსების შეთავაზებით, როგორიც იყო მაგალითად: სამართალი ფსიქოლოგიისათვის ან კონსტიტუციური სამართალი და საზოგადოება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარკვეული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა. რაც შეეხებოდა პრაქტიკის სილაბუსს, დამტკიცებული სახით იგი არ არსებობდა, თუმცა მათ ჰქონდათ სპეციალური ფორმა, ანკეტა, უწყისი რომელიც შეიცავდა ოფციას სადაც აისახებოდა პრაქტიკის კონტექსტში გავლილი აქტივობები. რაც შეეხებოდა თავად სილაბუსის შექმნას, უნივერსიტეტი ფიქრობდა ასეთი ფორმის შექმნაზე. ბოლო ათი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციებთან, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პრაქტიკის განხორციელება.

რაც შეეხებოდა სამართლის კომპონენტის გაძლიერებას, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პოლიტიკიდან გამომდინარე სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი საგანი რომელიც ბაზაში მოხვედრილი იყო ლეგიტიმური სახით. ასევე სტუდენტებს ტუტორები ურჩევდნენ თუ რომელ საგნებზე დარეგისტრირება იქნებოდა უმჯობესი. აქ იგულისხმებოდა ის საგნები რომელიც განეკუთვნებოდა სამართლის საგნების კურიკულუმს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული პროგრამის შემუშავება აუცილებელი გახდა იქიდან გამომდინარე, რომ იყო შემთხვევები, როდესაც სამართლის დოქტორი ამავედროულად ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის დოქტორანტურაში სწავლობდა, რადგან მისი სპეციალიზაცია გახლდათ კრიმინალისტიკა და მას დასჭირდა კვლევის დონეზე ჩართულიყო დარგში. შესაბამისად გადაწყდა სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და ახალი დარგის, როგორც იურიდიული ფსიქოლოგიის განვითარება საქართველოში. უნივერსიტეტის წარმომადგენელს ასევე წარმოდგენილი ჰქონდა აკადემიური საბჭოს დადგენილება, რომელიც ამტკიცებდა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შედეგად პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ექსპერტის დასკვნიდან გამომდინარე მისი შთაბეჭდილებით პროგრამის მიმართ იყო ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი შენიშვნა. მაგალითად ექსპერტთა რეკომენდაციით ამოღებული იქნა ორი სალექციო კურსი, როგორც შეუსაბამო, 70 კრედიტი შეცვლილი იქნა 55 კრედიტით, შეცვლილი იქნა ასევე მიღების წინაპირობა. მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა თავიდანვე არ იყო ბოლომდე დახვეწილი და გამართული, ვინაიდან რეკომენდაციებიც დაწესებულების მხრიდან დაუყოვნებლივ იქნა გათვალისწინებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაში, რომ იურიდიული ფაკულტეტიდან მომზადებული იყო ორი საგანი სამართალმცოდნეობის შესავალი და კრიმინოლოგიის საფუძვლები, შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაში, რომ სახელწოდება შესავალი ან საფუძვლები არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამაგისტრო პროგრამაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეცვლილი იქნა საგნები კრიმინოლოგიის და სამართლის ფსიქოლოგიით. ასევე უნივერსიტეტი აპირებდა სამომავლოდ თანამშრომლობას იურიდიულ ფაკულტეტთან და ისეთი კურსების შექმნას, რომელიც ასახავდა ორივე სპეციალობას, იქნებოდა თავსებადი და შედეგზე გამყვანი. აღნიშნულ ეტაპზე ამის განხორციელება ვერ მოხერხდა ვინაიდან არარსებული პროგრამისათვის სხვა ფაკულტეტიდან სილაბუსების მოთხოვნა გაჩირდა.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნულ პროგრამაზე ესწავლა ფილოსოფოსს. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით პროგრამაზე ასეთი შეზღუდვა არ არსებობდა, შესაბამისად, ბაკალავრიატის ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს ჰქონდა უფლება ჩაეხერხებინა სამაგისტრო პროგრამაზე. სტუდენტს უნდა ჰქონოდა ბაზისური ცოდნა რასაც მიიღებდა ბაკალავრიატში, თუმცა, ფსიქოლოგიის ბაკალავრი უფრო მარტივად გავიდოდა სწავლის შედეგებზე. მიუხედავად ამისა კანონის მიხედვით, პროგრამაზე ჩარიცხვის შეზღუდვა არ არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პროგრამა ამზადებდა პრაქტიკოს ფსიქოლოგს. მისი მოსაზრებით, იურიდიული კუთხით პროგრამას მეტი ზმა ექნებოდა კრიმინალისტიკასთან, ვიდრე სხვა დისციპლინებთან. მას აინტერესებდა ასევე თუ რატომ ამოიღეს იურიდიული საგნები პროგრამიდან. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნები არ იქნა ამოღებული, მხოლოდ შეეცვალა სახელწოდებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხთან მიმართებით თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ნანა შათაშვილმა, ლევან გორდეზიანმა და რამაზ ჭილაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა არჩილ აბაშიძემ და მაია გონაშვილმა.

- პროგრამის მიზნებში აღნიშნული იყო, რომ სამაგისტრო პროგრამა ამზადებდა საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში დასაქმებისათვის. პროგრამის შინაარსიდან და სასწავლო კურსებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონოდა ისეთი ფართო ცოდნა, რომ ნებისმიერ სექტორში შეძლებოდა დასაქმება თავისი სპეციალობით. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბარშიც გამოიკვეთა, რომ პროგრამა საჯარო სექტორში დასაქმებულთა ან დასაქმების მსურველთა ინტერესებზე და საჭიროებებზე იქნებოდა ორიენტირებული. აღნიშნული უნდა ასახულიყო პროგრამის მიზნების ნაწილში;

- სწავლის შედეგებში აღნიშნული იყო, რომ კურსდამთავრებულს ექნებოდა „ურბანული პოლიტიკის, აგრარული და მიწის პოლიტიკის“ ღრმა და სისტემური ცოდნა. მაგრამ შესაბამისი საგნების დიდი ნაწილი „აგრარული ეკონომიკა“, „მიწის პოლიტიკა“ და „მიწის ადმინისტრირება“, „საზოგადოების განვითარება და „ბუნებრივი გარემო“ იყო არჩევითი საგნები. სავალდებულო საგნების ბლოკში კი ძირითადად ზოგადი საგნები იყო ჩადებული. აღნიშნული საგნების გადატანა სავალდებულო ბლოკში საჭირო იყო სწავლის შედეგების შესასრულებლად;

- პროგრამის ორი სავალდებულო საგანი - დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა (ისწავლებოდა პირველ სემესტრში) და ადგილობრივი მმართველობა (ისწავლება მესამე სემესტრში) ნაწილობრივ იმეორებდა თემებს. ამ ორიდან თავისუფლად შეიძლებოდა ერთი საგნის არჩევით ბლოკში გადატანა და მის ნაცვლად არჩევითი ბლოკიდან რომელიმე მნიშვნელოვანი საგნის გადმოტანა;

- მიზანშეწონილი იყო პროგრამას დამატებოდა საგანი, რომელიც განიხილავდა ელექტრონული დემოკრატიის, ელექტრონული მმართველობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლს თანამედროვე საჯარო მმართველობის პროცესში (ცენტრალურ და ადგილობრივი ადმინისტრირების დონეზე). ასეთი კურსის არსებობა განსაკუთრებით აუცილებელი იყო სახელმწიფო სექტორში მიმდინარე რეფორმების ფონზე;

- რეკომენდირებული იყო საგნის დასახელების, შინაარსის და ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანა (ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა ისწავლებოდა მენქიუს წიგნით და საკითხებიც იყო ეკონომიკის პრინციპების საბაკალავრო კურსის, რეგიონული სტატისტიკის შინაარსის და საკითხები იყო სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში);

- რეკომენდირებული იყო შეფასების სისტემის დაკონკრეტება. კერძოდ, შესაბამისობაში უნდა მოსულიყო „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან და დასწრების კომპონენტის ცალკე შეფასება არ უნდა ყოფილიყო (საგნები: ინგლისური ენა B2, სპეციალური ინგლისური, მენეჯმენტის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, საზოგადოების განვითარება და ბუნებრივი გარემო, გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები);

- ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დახვეწას. მაგ: აქტივობები, როლური თამაშები, ჯგუფში მუშაობა და ა.შ., რომლებიც სხვადასხვა კომპონენტისგან შედგებოდა და წესით უნდა შეფასებულიყო ცალ-ცალკე და მათი რაოდენობის ჯამი იყო ერთიანი საბოლოო ქულა აქტივობისა. ანუ იყო 5 აქტივობა თითოეული ფასდებოდა 2 ქულით, ჯამში 10 ქულა, შეფასების სისტემაში ის 2 ქულა რაში იწერებოდა არ ჩანდა, არამედ პირდაპირ 10 ქულა იყო ჩაშლილი, რაც არ შეესაბამებოდა რეალობას. ასევე (მაგ: ასე ფასდებოდა 10.5 ქულით და ჩაშლა იწყებოდა 11-12 ქულიდან აკადემიური წერა და დიდი ბიჯების არსებობა 28-30 ქულა ერთნაირი აღწერით მაგ: პროექტის მენეჯმენტი და სხვა). თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ რეალურად ცალ-ცალკე ფასდებოდა;

- შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი სასწავლო პროგრამაში და სილაბუსში მითითებული წინაპირობები (პრაქტიკა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზაციებში-სილაბუსში მითითებული წინაპირობა კვლევის მეთოდები, ხოლო პროგრამაში მხოლოდ პროექტის მართვა იყო მითითებული);

- რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობა ინგლისური ენის B1 დონე იყო და ძირითადად სავალდებულო ლიტერატურა ინგლისურენოვანი იყო, რეკომენდირებული იყო B2 დონის მისაღწევად ჩასმული საგნის ან კრედიტების ან სააუდიტორიო საათების გაზრდა (ენის სწავლების საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე).

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენიშვნებისა და რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებული იქნა. ცნობილი იყო, რომ მწვავედ იდგა მდგრადი განვითარების პრობლემები, რომელიც შეეხებოდა გამოწვევების და მისი პერსპექტივების შესწავლას, გლობალური პრობლემები წყდებოდა ადგილობრივ დონეზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, მიწის მართვა, წარმოება, გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ პროგრამაში აქცენტი იქნა გაკეთებული აღნიშნულ ორ მნიშვნელოვან მიმართულებაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნა შენიშვნა კერძო სექტორთან დაკავშირებით, თუმცა, კერძო სექტორშიც იყო შესაძლებელი მდგრადი განვითარების კვლევებზე მუშაობა. აქცენტი გაკეთდა სამთავრობო სექტორებზე, ხოლო იმის მიხედვით თუ როგორ განვითარდებოდა პროგრამა მოიცავდნენ კერძო სექტორის არეალსაც.

რაც შეეხებოდა ორ სასწავლო კურსს, დემოკრატიასა და ადგილობრივ თვითმმართველობას, ისინი ორიენტირებული იყო დემოკრატიის მექანიზმების არსზე. ადგილობრივი მმართველობა მიმართული იყო სერვისების მიწოდებაზე და მმართველობის დეცენტრალიზაციაზე.

რაც შეეხებოდა ელექტრონული მართველობის საკითხებს, ისინი შეტანილ იქნა აღნიშნულ კურსებში. რეკომენდაციის შედეგად ასევე გაიზარდა უცხო ენის სწავლებისათვის გამოყოფილი საკონტაქტო საათების რაოდენობა, ხოლო მიღების წინაპირობად დაადგინეს ინგლისური ენის B1-2 დონეზე ცოდნა.

რაც შეეხებოდა ეკონომიკური ბლოკის საგნებს, უნივერსიტეტმა არ იცოდა თუ რა კონტიგენტს მიიღებდა ვინაიდან შესაძლებელი იყო მოსულიყვნენ ეკონომისტები, რომელთათვისაც აღნიშნული საგნები გავლილი ეტაპი იქნებოდა, ან მოსულიყვნენ ჰუმანიტარები, ვისთვისაც აღნიშნული საგნები იქნებოდა უცხო. თუმცა, მიუხედავად ამისა უნივერსიტეტი იზიარებდა და აუცილებლად გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

ექსპერტმა მიმართა წარმომადგენელს გაიზიარა თუ არა უნივერსიტეტმა მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა არჩევითი საგნების ბლოკიდან სავალდებულოში რამდენიმე საგნის გადატანის საკითხს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციას და მოხდებოდა არჩევითი საგნების გადატანა სავალდებულო საგნების ნუსხაში.

რაც შეეხებოდა მემორანდუმებს, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები ქ. თბილისის საკრებულოსთან და მერიასთან. აღსანიშნავი იყო ასევე ავსტრიის განვითარების ფონდი, რომელიც კურირებდა საქართველოში ტურიზმის განვითარებას. უნივერსიტეტი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო ტურიზმის განვითარების პროექტში, კერძოდ, მონაწილეობას ღებულობდნენ მათ მიერ ორგანიზებულ აქტივობებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში შესული ცვლილებები დამტკიცებული იქნა აკადემიურ საბჭოზე და აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოს სხდომაზე. რაც შეეხებოდა ექსპერტის რეკომენდაციას დასწრების ქულასთან დაკავშირებით, მინიმალური ქულა შეადგენდა ხუთ ქულას, რომელიც შემდეგ იყო ჩაშლილი. გარკვეული გაცდენების შემდგომ სტუდენტი ჩაიხსნებოდა სასწავლო პროცესიდან.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მისთვის პროგრამის სათაური იყო გაუგებარი, ვინაიდან განვითარება გახლდათ ზოგადი ხოლო მდგრადი განვითარება ვიწრო გაგების იყო. მისი მოსაზრებით, კონცეპტუალურად პროგრამა არ იყო სწორი. მდგრადი განვითარების გაიგივება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და შენარჩუნებასთან არ იყო სწორი. მდგრადი განვითარების უმთავრესი კომპონენტი გახლდათ ადამიანი, რაც პროგრამის ფარგლებში იყო ძალიან მცირე დოზით წარმოდგენილი. პროგრამაში ჩადებული იყო სოციალური პოლიტიკა და რეგიონალური განვითარება, რაც მოიცავდა 35 საათს. სოციალური პოლიტიკა გახლდათ უმთავრესი საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის. მისი მოსაზრებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ცალკე გამოტანა არ იყო საჭირო, ვინაიდან თუ სოციალური პოლიტიკა არ იქნებოდა შესწავლილი სრულყოფილად 35 საათი არ იქნებოდა საკმარისი.

საბჭოს წევრი მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა არსებობდა თუ არა საერთაშორისო სივრცეში ანალოგიური პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განვითარების კვლევები გახლდათ აქტუალური საგანი ევროპის ბევრ ქვეყანაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა თუ არა რეკომენდაციებისა და შენიშვნების ძირითადი ნაწილი, რომელიც გავლენას ახდენდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაზე, ვინაიდან რამდენიმე რეკომენდაციისა თუ შენიშვნის გათვალისწინება წარმომადგენლის განცხადებით იგეგმებოდა სამომავლოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა, რაც ეხებოდა სასწავლო კურსების სტატუსების ცვლილებას, კერძოდ არჩევითი ყოფილიყო საგანი თუ სავალდებულო, ეს იყო გაზიარებული, ასევე გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია შეფასებების ჩაშლასთან და წინაპირობაში უცხო ენის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით. არ იქნა მხოლოდ გათვალისწინებული დასწრების ქულასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს პროგრამა არსებულ მდგომარეობაში გაიყვანდა თუ არა სტუდენტს შედეგზე. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სანამ არ ნახავდნენ კონკრეტულად რა ცვლილებები იქნა შეტანილი პროგრამაში და რა სახით დამტკიცდა აღნიშნული ცვლილებები აკადემიურ საბჭოზე, ამ შეკითხვას ვერ გასცემდნენ პასუხს. ექსპერტებმა განმარტეს, რომ პროგრამა, რომელიც მათ ვიზიტის ფარგლებში შეაფასეს, სწავლის შედეგებზე გასვლას ვერ უზრუნველყოფდა. ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო იყო შეცვლილი პროგრამის ხელახალი გადამოწმება.

19:21 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:34 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნათელა სახოკიამ, ანანო გიორგაძემ, მანანა მიქაბერიძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. ამასთან, ვინაიდან, არც ექსპერტებმა და არც საბჭოს წევრებმა წინასწარ არ იცოდნენ კონკრეტულად რა ტიპის ცვლილებები იქნა შეტანილი პროგრამაში, მათთვის რთული იყო აღნიშნული პროგრამისათვის ნდობის გამოცხადება. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც დაწესებულების განმარტებით ირკვევა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნები უნივერსიტეტის მიერ გამოსწორებულ იქნა ვიზიტის დასრულების შემდგომ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცვლილებების შინაარსი დანართების სახით ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, გაზიარებული იყო ყველა რეკომენდაცია გარდა დასწრების ქულასთან დაკავშირებული საკითხისა. შესაბამისად, მისთვის წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი რომ ვინმე ეჭვქვეშ დააყენებდა და ნდობას არ გამოუცხადებდა აკადემიურ საბჭოს.

4. შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინგლისური ლინგვისტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ლინგვისტიკის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ირმა გრძელიძემ და ეკატერინე ბაკარაძემ.

- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ მოხერხდა შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან. ჩატარებული იყო შრომის ბაზრის კვლევა თუმცა აღნიშნული იყო სამაგიდო მიმოხილვა, რომელსაც საფუძველად ედო ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს სოციალური ანალიზისა და ინსტიტუტის, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულების დოკუმენტი, რომელიც ემყარებოდა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - საქართველო 2020. სამაგიდო კვლევაში ზოგადად მიმოხილული იყო დასაქმების ბაზარზე სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის უპირატესობები, თუმცა ნაკლებად ჩანდა კონკრეტულად ლინგვისტიკის მაგისტრის დასაქმების შესაძლებლობა. ძირითადი აპელირება კეთდებოდა ენის მაღალი კომპეტენციის განვითარებაზე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, რომლითაც შესაძლებელი იყო დაინტერესებულიყო სასტუმრო და ტურისტული სექტორი, საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზაციები, არასამთავრობო თუ საჯარო სექტორი. პროგრამის SWOT ანალიზში ერთ-ერთ საფრთხედ მიჩნეული იყო ლინგვისტიკის სპეციალისტთა დასაქმების პრობლემა (ქვეყანაში კვლევით სფეროში მომუშავეთა დაბალი მოტივაცია);

- პროგრამა შექმნილი იყო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით და მითითებული იყო ანალოგიები სხვადასხვა უნივერსიტეტის ვებგვერდები, თუმცა ხშირ შემთხვევაში უმეტესი ვებგვერდი ან არ არსებობდა ან არაზუსტი ანალოგები იყო მითითებული;

- ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამებოდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე (მაგისტრატურა) საფეხურის აღმწერით გათვალისწინებულ დონეს, თუმცა რიგ საგნებში ხდებოდა თემატიკის გადაფარვა. მაგალითად: ისწავლებოდა კურსი „კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში“ და „წერა აკადემიური მიზნებისათვის“. სამაგისტრო პროგრამა სრულდებოდა სამაგისტრო ნაშრომით, რომლის სილაბუსშიც გაწერილი იყო პროფესორსა და სტუდენტს შორის თანამშრომლობა კვირაში 6 საათის განმავლობაში, თუმცა აღნიშნული არ დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებით;

- საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნულ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას სწავლების შემდგომ საფეხურზე, რადგან როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას ირკვეოდა, პროგრამაზე ირიცხებოდა 4 აქტიური სტუდენტი, რომლებიც გამოირჩეოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრებით და მოტივაციით. სტუდენტებმა უარი განაცხადეს კითხვარების შევსებაზე და ვერ მოხერხდა მათი ჩართვა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დახვეწის პროცესში. პროგრამა აღნიშნულ ეტაპზე ასევე ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე, მიუხედავად იმისა რომ პროგრამაში დეტალურად იყო გაწერილი ის სფეროები, სადაც კურსდამთავრებული შემდეგ მუშაობას, სტუდენტის დაბალი აკადემიური მოსწრების, შრომის ბაზრის კვლევისა და პოტენციური დამსაქმებლის არ არსებობის გამო საკითხი გახლდათ პრობლემური;

- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამისათვის გათვალისწინებული იყო დაინტერესებულ პირთა მოთხოვნები, რაც დასტურდებოდა სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმებით, არსებობდა დამსაქმებლის გამოკითხვის კითხვარი, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი დამსაქმებლის - ჰუალინგის სასტუმროთა ქსელი, რომელიც ამ პროგრამისთვის არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო პოტენციურ დამსაქმებლად;

- პროგრამის წინაპირობაში არ იყო გათვალისწინებული დარგობრივი გამოცდა/გასაუბრება, რომელიც შეამოწმებდა აპლიკანტის წინარე კომპეტენციას. პროგრამა ისე იყო აწყობილი რომ პირველივე სემესტრში ისწავლებოდა ისეთი კურსები როგორც იყო: მორფოლოგია და სინტაქსი; კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში; დისკუსიის ანალიზი; ინგლისური ენა 1; რიტორიკა, რომელიც სტუდენტისაგან მოითხოვდა სულ მცირე ენის სისტემებისა და თეორიის საფუძვლების ცოდნას. ვიზიტის დროს სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლენილ იქნა, რომ მეორე სემესტრის ორი სტუდენტი (ანა ესიტაშვილი და მაქსიმ კრამერენკო) არ ფლობდნენ პრერეკვიზიტით განსაზღვრულ ენობრივ კომპეტენციას, მაქსიმ კრამერენკო არ ფლობდა ქართულ ენასაც და მისი საკომუნიკაციო ენა იყო რუსული, პირველადი განათლება ჰქონდა ბიზნესის მიმართულებით. შესაბამისად, მისთვის რთული გახლდათ კურსების შინაარსის ათვისება. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჩაბარებული ჰქონდათ ინგლისური ენის გამოცდა უნივერსიტეტში. სასურველი იყო აღნიშნული გამოცდის დონე ყოფილიყო B2 ან პროგრამის წინაპირობაში მითითებული ყოფილიყო კონკრეტული საერთაშორისო გამოცდის შესაბამისი დონე;

- სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურ ძალისხმევას იჩენდა სტუდენტთა სწავლის შედეგებზე გასაყვანად, თუმცა სტუდენტთა ენობრივი და დარგობრივი კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი იყო;

- დაწესებულება ჯერჯერობით არ იყო ორიენტირებული წახალისებინა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა, რაც შესაბამისად განაპირობებდა სტუდენტთა ნაკლებ ჩართულობას სამეცნიერო მუშაობაში. ინტერნაციონალიზაცია გახლდათ პროგრამის სუსტი

მხარე. არ დასტურდებოდა თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და ეროვნული თუ სამეცნიერო პროექტების განხორციელების მცდელობა;

- პროგრამის სასწავლო პროცესს უძღვებოდა 6 აკადემიური პერსონალი და ერთი მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი. აღსანიშნავი იყო, რომ პერსონალის უმრავლესობას არ ჰქონდა შესაბამისი მიმართულებით კვლევები და პუბლიკაციები;

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულებს მართლაც ჰქონდათ აღნიშნულ სფეროში დასაქმების პრობლემა, თუმცა უნივერსიტეტი შესაძლებლობების ფარგლებში ზრუნავდა აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე. მოხდა ხელშეკრულების გაფორმება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, სადაც სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში საშუალება ექნებოდათ გაცნობოდნენ ძველ ინგლისურ ხელნაწერებს.

რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს, მათ მიერ წარმოდგენილი იქნა სტატიები, რომელთა გამოქვეყნების პროცესი მიმდინარეობდა, რამდენიმე პროფესორს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებშიც.

საერთაშორისო კავშირების კუთხით უნივერსიტეტს ჰქონდა რამდენიმე ხელშეკრულება და სამომავლოდ იღებდა ვალდებულებას საკუთარი ბიუჯეტიდან დაეფინანსებინა სტუდენტების კვლევები. რაც შეეხებოდა უშუალოდ რეკომენდაციებს, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო გაითვალისწინეს.

საბჭოს წევრმა ნინო ჩინჩალაძემ განაცხადა, რომ მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა იყო არა ინგლისური ლინგვისტიკის, არამედ ინგლისური ფილოლოგიის და აღნიშნულის თაობაზე სთხოვა განმარტება დაწესებულების წარმომადგენელს. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ინგლისური ენათმეცნიერების. ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი შენიშვნებიც გარკვეულწილად ემთხვეოდა ნინო ჩინჩალაძის მოსაზრებას, კერძოდ, მათაც მიაჩნდათ, რომ ვინაიდან არ იყო გაკეთებული ბაზრის კვლევა, ნათლად არ იყო გააზრებული პროგრამის საჭიროება ბაზარზე არსებული რეალობიდან გამომდინარე. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის შემუშავება გახლდათ საკმაოდ თამამი განაცხადი. სტუდენტებს რომც ჰქონოდათ საშუალება ერთი ან ორი სამეცნიერო კვლევის გაკეთების, არ იქნებოდა იმის გარანტი, რომ სტუდენტი გავიდოდა შედეგზე. შესაბამისად როგორც აღინიშნა დასაქმების ბაზარი ამ მიმართულებით იყო მჭირი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ მიიღო უნივერსიტეტმა გადაწყვეტილება შეემუშავებინა მსგავსი პროგრამა, რა გახლდათ მისი შექმნის აუცილებელი პირობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ფაკულტეტის მიერ დადგა ინიციატივა ადმინისტრაციამ დაუჭირა მხარი, ვინაიდან აღნიშნული დარგი არ იყო შესაბამისად განვითარებული საქართველოში. უნივერსიტეტის სურვილი გახლდა მონაწილეობა მიეღო დარგის წამოწევისა და განვითარებაში.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, რესურსებით მცირე უნივერსიტეტებს ერჩივნათ ფინანსები ჩაედოთ ისეთ პროგრამებში, სადაც მოიზიდავდნენ უფრო მეტ სტუდენტს და დარგის სპეციფიკაც არ იქნებოდა დეფიციტური რესურსებიდან ან აკადემიური პერსონალიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, რომ მისთვის რთული მოსასმენი იყო, რომ უნივერსიტეტში ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდნენ სტუდენტები, რომელთა ინგლისური ენის ცოდნის დონე არ გახლდათ B2 და რამდენიმე მათგანმა საერთოდ არ იცოდა ქართული ენა. მას აინტერესებდა რით იყო გამოწვეული აღნიშნული გარემოება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტების მიღება ხდებოდა გასაუბრებით და შიდა გამოცდით. მას უჭირდა კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი, ვინაიდან არ იყო თავად პროგრამის

ხელმძღვანელი, თუმცა როგორც მისთვის იყო ცნობილი სტუდენტებს ჰქონდათ ინგლისურად წერის საკმაოდ კარგი უნარები.

საბჭოს წევრმა ნინო ჩინჩალაძემ განაცხადა, რომ მისთვისაც გაუგებარი იყო რატომ გაჩნდა ისეთი დარგის განვითარების სურვილი, რომელიც მსოფლიოში ბრიტანეთის გარდა ალბათ სულ რამდენიმე უნივერსიტეტში ისწავლებოდა.

ექსპერტმა ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის განხორციელება გახლდათ შედარებით მარტივი, ვინაიდან შესაძლებელი იყო ენაში და ლიტერატურაში მცოდნე კადრების მოძიება და საბოლოო შედეგზე გასვლა, მაგრამ ინგლისური ლინგვისტიკის პროგრამის შედეგების უზრუნველყოფა იმ კადრებით და სტუდენტების მონაცემებით, რაც სახეზე ჰქონდა დაწესებულებას იყო წარმოუდგენელი. ირმა გრძელიძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ასევე პრობლემა მდგომარეობდა კვალიფიციურ კადრებში, ვინაიდან ბოლო ათი წლის მანძილზე მათ არ ჰქონდათ კონკრეტულად ლინგვისტიკის მიმართულებით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ახორციელებდა თუ არა სასწავლო უნივერსიტეტი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხილვა გადმოტანილი ყოფილიყო მეხუთე საკითხად.

საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	აგრობიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ვასილ კიკუტაძემ და ნინო ხარხელაურმა.

- რეკომენდებული იყო პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში არჩევითი დისციპლინების მოდულიდან გადასულიყო ლოგისტიკა და პროექტების მართვა, ხოლო სავალდებულო დისციპლინების მოდულს დარგის სპეციფიკისა და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით დამატებოდა: აგრობიზნესის რისკ-მენეჯმენტის, აგრობიზნესის სამართლის, სასურსათო უსაფრთხოების და მარკეტინგის მენეჯმენტის დისციპლინები, რაც შესაძლებელი იყო როგორც ცალკეული დისციპლინების კრედიტების მოცულობის ცვლილებით, ასევე პროგრამის ფარგლებში აგრობიზნესის კონკრეტული კონცენტრაციების ფორმირების გზით;

- რეკომენდებული იყო პროგრამაში შემავალი ზოგიერთი სავალდებულო დისციპლინის შინაარსის ოპტიმიზაცია, კერძოდ დისციპლინაში „კაკლოვანი კულტურები“ უმჯობესი იქნებოდა მე-7 თემაში განხილული საკითხების შესწავლა თავისი შინაარსიდან გამომდინარე წინ

უსწრებდეს მე-6 თემაში განხილული საკითხების შესწავლას, რადგანაც სტუდენტს ჯერ თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო აგროტექნოლოგიური პროცესები უნდა შეესწავლა, რის საფუძველზეც ის უფრო მარტივად შეადგენდა ტექნოლოგიურ რუკას და გააკეთებდა ხარჯების კალკულაციას. დისციპლინაში „მებაღეობა“ რეკომენდებული იყო ცალკეული საკითხების დონეზე დაკონკრეტებულიყო განსახილველი თემები და მეტად მორგებოდა დისციპლინის სპეციფიკას. დისციპლინაში „რძე და რძის პროდუქტების წარმოება და მართვა“ შესასწავლი თემები მიზანშეწონილი იყო დაკონკრეტებულიყო ცალკეული საკითხების დონეზე დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე მიზანშეწონილი იყო დისციპლინის სასწავლო გეგმაში კონკრეტულად გაწერილიყო სილაბუსით გათვალისწინებული სტუდენტების რძის მწარმოებელ საწარმოში ვიზიტის დეტალები (კვირა, საათი);

- რეკომენდებული იყო დისციპლინაში „კვლევის მეთოდები“ შესასწავლ საკითხებში სტატისტიკური ანალიზის პროგრამა SPSS-თან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები (სტრუქტურიზებული ინტერვიუები, ანკეტირება, კონტენტ-ანალიზი, ჩადრმავებული ინტერვიუები; ფოკუს ჯგუფების კვლევა, დაკვირვება და ა.შ.);

- რეკომენდებული იყო დისციპლინაში ექსპორტის პროცედურები, განსახილველი საკითხების შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით, ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბებულიყო სურსათის უვნებლობა და სტანდარტიზაცია;

- რეკომენდებული იყო დაკორექტირებულიყო აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში არჩევითი დისციპლინების შესახებ ჩანაწერი, სადაც მითითებული იქნებოდა, რომ „სტუდენტმა მეხუთე ტრიმესტრში უნდა აირჩიოს ქვევით ჩამოთვლილი საგნებიდან სამი ნებისმიერი“, შემდეგნაირად: „სტუდენტმა მეხუთე ტრიმესტრში უნდა აირჩიოს ქვევით ჩამოთვლილი საგნებიდან ორი ნებისმიერი“, რათა მოვიდეს თანხვედრაში პროგრამის კრედიტების გადანაწილების სტრუქტურასთან;

- რეკომენდებული იყო პროგრამის ცალკეული დისციპლინების (აგროსაწარმოთა ღირებულების ჯაჭვის მართვა, კაკლოვანი კულტურები, მებაღეობა, ხორცი და ხორცის პროდუქტების წარმოება და მართვა, აგრარული მეწარმეობის განვითარება, აგრარული პოლიტიკის ანალიზი, აკადემიური წერა, ექსპორტის პროცედურები, კვლევის მეთოდები, კორპორაციული მართვა, ლოჯისტიკა, მენეჯერული აღრიცხვა, პროექტების მართვა, რძე და რძის პროდუქტების წარმოება და მართვა, საგადასახადო საქმე, სტატისტიკა, ფინანსური მენეჯმენტი და აგროსაწარმოთა განვითარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია) სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის შესაბამისად ცალკეული დისციპლინის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

- რეკომენდებული იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულიყო არა მარტო კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღები კომისიის მიერ შემუშავებული გასაუბრება, არამედ გამოცდა სპეციალობაში, რითაც მოხდებოდა მისაღები კონტიგენტის ცოდნის დონის საჭირო დონემდე გათანაბრება. გარდა ამისა, პროგრამაზე მიღების წინაპირობების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იყო დაკონკრეტებულიყო ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში გათავისუფლდება ინდივიდი ინგლისური ენის გამოცდისაგან;

- უმჯობესი იქნებოდა, პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დისციპლინა აკადემიური წერა ნაცვლად მესამე ტრიმესტრისა შესწავლილი ყოფილიყო პირველივე ტრიმესტრში, რაც ხელს შეუწყობდა სხვა დისციპლინების ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების მაღალ დონეზე შესრულებას;

- რეკომენდებული იყო, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის შეფასების მეთოდების დივერსიფიცირება, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით;

- პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი ლიტერატურა შემოწმების მომენტისათვის არ აღმოჩნდა ადგილზე (მაგალითად, დისციპლინებში: აგროსაწარმოთა განვითარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კაკლოვანი კულტურები, ხორცი და ხორცის პროდუქტების წარმოება და მართვა, რძე და რძის პროდუქტების წარმოება და მართვა), შესაბამისად მიზანშეწონილი იყო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი ლიტერატურის დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ჩამოყალიბება განპირობებული იყო მაღალი მოთხოვნით აღნიშნულ დარგზე. პროგრამის შემუშავებისას განხორციელებულ იქნა კონსულტაციები სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სამინისტროებთან. ასევე პროგრამის საერთაშორისო ასპექტით განვითარების მიზნით შედგა თანამშრომლობა ჰოლანდიელ პარტნიორებთან, განხორციელდა მათთან ვიზიტი, რათა გამოევლინათ კადრების გადამზადებისათვის საჭირო დარგები. პრიორიტეტი მიენიჭა აგრობიზნესის მოდულს. შეიქმნა პროექტი, რომლის ფარგლებში მოხდა პროგრამის დაფინანსება, შემუშავდა სტრუქტურა და სილაბუსები.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აგრობიზნესის რისკ-მენეჯმენტის, აგრობიზნესის სამართლის, სასურსათო უსაფრთხოების და მარკეტინგის მენეჯმენტის დისციპლინებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა. დაწესებულების მიერ გაზიარებული იქნა ასევე მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ისეთ სპეციფიკურ საგნებს, როგორიც იყო კაკლოვანი კულტურა და მებაღეობა.

რაც შეეხებოდა ბიზნეს სამართალს, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ აღნიშნული კურსის დამატება აგრარული სფეროსათვის არ იყო მიზანშეწონილი. ასევე განხორციელდა საგნების მიხედვით ცალკეული სილაბუსების დაკონკრეტება და შეფასების მეთოდების დივერსიფიცირება ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამა ითვალისწინებდა თუ არა მეცხოველეობის საკითხებს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩადებული იყო აგრომეცხოველეობის საგანი, რომელიც მოიცავდა მესაქონლეობასაც. პროგრამა მოიცავდა ასევე სურსათის ხარისხის და მართვის საკითხებს და გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ვინ ასწავლიდა სპეციფიურ საგნებს, ჰყავდათ თუ არა კვალიფიციური კადრები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართულები იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქართველი ექსპერტები.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამის ძირითად ძლიერ მხარეს წარმოადგენდა კადრების მაღალი კვალიფიკაციის დონე და პრაქტიკის კომპონენტი, კერძოდ სტუდენტს ექნებოდა შესაძლებლობა პრაქტიკის გასავლელად წასულიყო ჰოლანდიაში. ასევე სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა პრაქტიკა გაეწეო საქართველოში არსებულ ადგილობრივ კომპანიებში, სადაც მემორანდუმების საფუძველზე მას ეძლეოდა დასაქმების შანსიც.

საბჭოს წევრი მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმავდნენ 20-30 სტუდენტის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.



6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ელექტრონიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წარმომადგენელმა, კერძოდ უნივერსიტეტის რექტორმა მოითხოვა ყოველი რეკომენდაციის შემდეგ გაეცა საბჭოსათვის პასუხი, თუმცა, საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა ფორმატზე, პირველ რიგში გაცნობოდნენ ექსპერტების რეკომენდაციებს და შემდეგ მიეცა სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლისათვის.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნანი არაბულმა.

- საგანმანათლებლო პროგრამას არ გააჩნდა ის აუცილებელი ტექნიკურ-ლაბორატორიული აღჭურვილობა (ოსცილოსკოპები, სიგნალის გენერატორები, სპექტრის ანალიზატორები, ვოლტ-ამპერული მახასიათებლის გამზომები, ციფრული ჩამწერები და წამკითხველები, იმპედანსის მზომები, როტურები და სხვა), რაც აუცილებელი იყო პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის, სასწავლო კურსების შესწავლისათვის (დარგობრივი სასწავლო კურსები) და შესაბამისად, ინჟინერიის კვალიფიკაციის (04) მქონე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირისათვის.

- ძირითადად ლაბორატორიული მეცადინეობები ხორციელდებოდა სიმულატორების დახმარებით, რაც არ იყო საკმარისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მიზნების და შედეგების მისაღწევად;

- წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის „ელექტრონიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“ მიზანი ზოგადი ხასიათის იყო და არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული. ამასთან,

პროგრამის მიზნის მიხედვით, „ბაკალავრს ექნებოდა ფართო ცოდნა ელექტრონიკაში“, რაც მიუღწევადი იყო, მწირი მატერიალური რესურსის გამო. მიზანშეწონილი იყო პროგრამის მიზანი ყოფილიყო ნათლად ჩამოყალიბებული და მატერიალური რესურსები ყოფილიყო პროგრამის შინაარსის შესაბამისი.

- საგანში „პროგრამირების საფუძვლები“, რომელიც ისწავლებოდა სწავლების პირველ სემესტრში, აუცილებელი იყო ჩამატებოდა რამდენიმე თემა ალგორითმიზაციის მეთოდების შესახებ. საგანი „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ იყო ძირითადი საგნების ნუსხაში თუმცა იგი ისწავლებოდა მეშვიდე სემესტრში, ხოლო პროგრამირების შესწავლა მინიმალური ალგორითმიზაციის მეთოდების საფუძვლების ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო.

- წარმოდგენილი პროგრამის შესწავლა მოითხოვდა ტექნიკური ინგლისურის ცოდნას, ამიტომ საჭირო იყო გაძლიერებულიყო ინგლისური ენის კურსი ტექნიკური ინგლისურის მიმართულებით;

- საგანში „ქსელების უსაფრთხოება“ უნდა ჩამატებოდა ინფორმაციული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ისეთი თემები, როგორებიც იყო: შიფრაციის ალგორითმები, კრიპროგრამა;

- პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი საგნების გადანაწილება ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, მაგალითად: წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში ნათქვამი იყო, რომ სტუდენტს ეცოდინებოდა „კომპიუტერულ და საკომუნიკაციო ქსელებში მუშაობის უსაფრთხოების საფუძვლები...“. აღნიშნული საგანი იყო არჩევით საგანთა ნუსხაში და არჩევითი საგნების რაოდენობა იყო საკმაოდ ბევრი, ამიტომ შესაძლებელი იყო, რომ სტუდენტის მიერ არ მომხდარიყო აღნიშნული საგნის არჩევა. აუცილებელი იყო საგანი გადანაცვლებულიყო სავალდებულო საგნების ნუსხაში;

- პროგრამაში კომპიუტერული და საკომუნიკაციო ქსელების შესასწავლად წარმოდგენილი იყო ოთხი საგანი: „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „ლოკალური ქსელის ტექნოლოგია“, „მარშუტიზაცია“, „ფართო არეალის ქსელი“. ამათგან, ბოლო სამი იყო არჩევითი საგნების ნუსხაში. აღსანიშნავი იყო, რომ ამ სამივე საგნის შესწავლის გარეშე სტუდენტი ვერ მიიღებდა მინიმალურ კომპეტენციას კომპიუტერული და საკომუნიკაციო ქსელების მუშაობის პრინციპების ცოდნაში. აუცილებელი იყო აღნიშნული საგნების თემების გაერთიანება ერთ საგანში (მაგ. „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“) და სავალდებულო საგნების ნუსხაში გადანაცვლება;

- მიზანშეწონილი იყო, სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგები მოსულიყო შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზანთან და შინაარსთან. ასევე, საჭირო იყო თანხვედრაში მოსულიყო სასწავლო კურსების დარგობრივი ღირებულებები პროგრამის სპეციფიკასთან;

- სასწავლო კურსს „გაზომვები საინფორმაციო სისტემებში“, არ გააჩნდა წინაპირობა, თუმცა მასში შემავალი თემები უდავოდ მოითხოვდა ფიზიკის საფუძვლების და ელექტრონიკის (PHYS 2140) ცოდნას. რეკომენდირებული იყო გაწერილიყო მისი წინაპირობა;

- აუცილებელი იყო, რომ შეფასების მეთოდები არ ყოფილიყო უნიფიცირებული და შესაბამისობაში მოსულიყო საგნის სპეციფიკასთან;

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით სტუდენტის შეფასებისათვის მინიმალური დადებითი ქულა იყო 60 („E“ შეფასება) და შესაბამისად, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლეოდა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდებოდა მინიმუმ 51 ქულა (FX შეფასება). თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ წარმოდგენილ პროგრამაში და სილაბუსებში არ იყო ასახული სტუდენტის შეფასების ამგვარი რეგულაცია (E და FX შეფასება). შესაბამისად,

მიზანშეწონილი იყო, სტუდენტის შეფასების სისტემა მოსულიყო შესაბამისობაში დაწესებულების დებულებასთან.

- სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, როდესაც ფასდებოდა ღია ტიპის კითხვა, პრაქტიკული დავალება, საშინაო დავალება, ასევე სასწავლო კურსში „საბაკალავრო ნაშრომი“ – „სტუდენტის პროექტისადმი ინტერესის ხარისხი“- სასურველი იყო გამოყენებული ყოფილიყო შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები და სტუდენტის შეფასების უფრო მეტი ობიექტურობისთვის, შემცირებულიყო ქულათა შეფასების დიაპაზონი. ასევე სასურველი იყო, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების თითოეული კრიტერიუმისათვის, გაწერილიყო გამჭვირვალე შეფასების სისტემა;

- სასწავლო კურსებში როგორებიც იყო: „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „მარშუტიზაცია“, „ფართო არეალის ქსელი (WAN)“, „რადიოტექნიკური წრედები“, „რადიოსიხშირული და მოკლელტალოვანი ტექნიკა“, „ელექტრონიკა და ელექტრონული კომპონენტები“ ძირითადი ლიტერატურა იყო ძველი და საჭიროებდა განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ავსტრიის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის პროგრამის ანალოგი და შექნილი იყო აღნიშნული უნივერსიტეტის ჩართულობით. რაც შეეხებოდა წარმოდგენილ რეკომენდაციებს დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პროგრამა არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული. მისი აზრით, პროგრამის მიზანი იყო ცხადი. ელექტრონიკა გახლდათ ბაზისი იმისათვის, რომ ბაკალავრს ჰქონოდა ფართო ცოდნა, როგორც ელექტრონიკაში, ასევე კომპიუტერულ ინჟინერიაში. პროგრამაში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები, რომლებიც ფართოდ იყვნენ ცნობილები ბაზრზე და მუშაობდნენ კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით.

დაწესებულება ასევე არ დაეთანხმა იმ რეკომენდაციას, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია პირდაპირ არ ასახვდა პროგრამით დასახულ მიზნებს. მათი პროგრამა მოიცავდა ელექტრონიკის შვიდ საგანს, რომელიც მოიცავდა ელექტრონიკას, ელექტრონულ წრედებს, მიკროელექტრონულ წრედებს, ელექტრონული კომპონენტები, ხოლო კომპიუტერულ ინჟინერიას მოიცავდა ხუთი საგანი. აღნიშნული საგნები წარმოდგენილი იყო საბაზო საგნებად. ქსელის მიმართულების საგნები გადმოტანილი იქნა სავალდებულო საგნების ნუსხაში. აღსანიშნავი იყო, რომ კომპიუტერული და ქსელური ინჟინერიის საგნების შესასწავლად აუცილებელი იყო პროგრამირების საგნების შესწავლა. ის, რომ პროგრამირების საგნებში არ იყო ალგორითმიზაციის საკითხები, გახლდათ ტექნიკური ხარვეზი. ეს უკანასკნელი ისწავლებოდა მეშვიდე სემესტრში არჩევით საგნად, მაგრამ მოხდა მისი გადმოტანა პროგრამირების წინ. თუმცა, პროგრამირების კურსებიც მოიცავდა ალგორითმიზაციის საკითხებს, რაც ნათლად ჩანდა სილაბუსებშიც.

რაც შეეხებოდა ტექნიკური ინგლისურის ცოდნას, მისი ცალკე საგნად სწავლება არ იქნებოდა მიზანშეწონილი ვინაიდან შესაძლებელია ათი სტუდენტიდან ცხრას არ ჰქონოდა მისი სწავლის აუცილებლობა, თუმცა შესაძლებელი იყო რეკომენდაცია გაეთვალისწინებინათ და ორი კვირის მანძილზე ესწავლებინათ რომელიმე სასწავლო კურსში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ კავკასიის უნივერსიტეტი გამოირჩეოდა იმით, რომ ისინი განსაკუთრებით ითხოვდნენ სტუდენტებისაგან ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნას. შესაბამისად, დამატებითი ინგლისური ენის საგნის მიწოდება ნამდვილად არ იყო საჭირო.

ასევე კარგი იქნებოდა ქსელის უსაფრთხოებაში ცალკე შესწავლილი ყოფილიყო შიფრაციის ენები. უნივერსიტეტი ამზადებდა კომპიუტერული ინჟინერიის და ტელეკომუნიკაციის ბაკალავრებს და უშუალოდ ქსელების ადმინისტრირებაზე ისწავლებოდა შიფრაციის საკითხები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, გასწორებული იქნა ტექნიკური შეცდომა სასიგნალო პროცესორების სილაბუსთან დაკავშირებით, სადაც წარმოდგენილი იყო ერთი და იგივე სილაბუსი სხვადასხვა სახელწოდებით.

რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ ფოტომასალა და ფინანსური დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც მათ შეძენილი ჰქონდათ ყველა საჭირო აღჭურვილობა გარდა სპექტრის გამზომისა, რისი ქონაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას. ჰქონდათ 4 წიგნი, სადაც ჩამოთვლილი იყო თუ რა ტიპის სიმულაციების შესრულება იქნებოდა შესაძლებელი მათ ლაბორატორიაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დოკუმენტაციაში ჩანდა ერთეული შესყიდვები, და იკითხა საკმარისი იქნებოდა თუ არა ეს სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმავდნენ სულ 40 სტუდენტის მიღებას და მოხდებოდა გადანაწილება ცხრილის მიხედვით. ასევე უნივერსიტეტს შესყიდული ჰქონდა ახალი შენობა-ნაგებობა, სადაც მთლიანად განთავსდებოდა პროგრამისთვის საჭირო სრული ლაბორატორიული აღჭურვილობა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რამდენი პროფესორი უძღვებოდა ელექტრონიკის და პროგრამირების საგნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო ათამდე ადგილობრივი პროფესორი.

21:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 21:38 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ ინჟინერიის სპეციალობის ბაკალავრიატისათვის მნიშვნელოვანი იყო სრულყოფილი ლაბორატორიის უზრუნველყოფა.

შესაბამისად საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ სასწავლო წლის დაწყების შემდგომ განხორციელებულიყო აღნიშნულ პროგრამაზე მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმებულიყო ლაბორატორიული აღჭურვილობა.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა სხდომა 22:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ანანო გიორგაძე

